დანართი 2

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

I. ფაკულტეტის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი
II. პროგრამის სახელწოდება: ბიზნესის ადმინისტრირება/ Business Administration
III. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: მაგისტრატურა
IV. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური, ძირითადი
V. სწავლების ენა: ქართული
VI. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი / Master of Business Administration (MBA) **0413.1.2**
VII. პროგრამის მოცულობა: 120 ECTS კრედიტი, პროგრამის ხანგრძლივობაა 2 აკადემიური წელი - 4 ოცკვირიანი სემესტრი (თითოეულ სემესტრში: 15 კვირა - სააუდიტორიო მეცადინეობა, 3 კვირა - დასკვნითი გამოცდა, 2 კვირა - დამატებითი გამოცდა).

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა: სასწავლო კომპონენტი და კვლევითი კომპონენტი
სასწავლო კომპონენტი - 90კრედიტი (ECTS):

- ბიზნესის ადმინისტრირების ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსები - **70 კრედიტი;**
- ბიზნესის ადმინისტრირების ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის არჩევითი სასწავლო კურსები - **6 კრედიტი;**
- თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - **9 კრედიტი;**
- თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები-**5 კრედიტი**

კვლევითი კომპონენტი

- სამაგისტრო ნაშრომი-**30 კრედიტი**

VIII. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე სწავლა შეუძლიათ საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს (საქართველოს მოქალაქეს), რომელმაც ჩააბარა საერთო სამაგისტრო გამოცდა. გადალახა ტესტის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და მიღებული ქულების საფუძველზე მოიპოვა უფლება ჩააბაროს სპეციალობის გამოცდა სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე.

საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქე კონკურსანტი წარმოადგენს ინგლისური ენის B2 ცოდნის დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში (ინგლისური ენის სერტიფიკატის გამცემი ორგანიზაციების ჩამონათვალი - TOEFL Paper, TOEFL CBT, TOEFL IBT, IELTS, FCE, CERTUS) (კანდიდატს, რომელსაც გავლილი აქვს ინგლისური ენის პროგრამა (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) გამოცდის ჩაბარება ან/და სერტიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვება) ან აბარებს გამოცდას ინგლისურ ენაში (მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა) საგამოცდო კომისიის წინაშე. გამოცდის მინიმალური ბარიერია 51 ქულა. კანდიდატი, რომელიც ვერ გადალახავს აღნიშნულ ბარიერს, კარგავს კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას. გამოცდაში მიღებული ქულა არ განსაზღვრავს მაგისტრანტობის კანდიდატის ერთიან საბოლოო სარეიტინგო ქულას. გამოცდა ჩატარდება მაგისტრატურაში მიღების ვადების შესაბამისად.

საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა პირმა უნდა დაადასტუროს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების (ქართული ენის) ენის ფლობა არანაკლებ B1 დონეზე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის #224/ნ ბრძანების (უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“) შესაბამისად.

პროგრამაზე, ასევე სწავლა შეუძლია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (რომელთა გაცემულ დიპლომს აღიარებს სახელმწიფო) და სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა სპეციალობის მაგისტრანტებს მობილობის წესით. მაგისტრანტურაში ჩარიცხვის უფლება აქვს აგრეთვე პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, მაგრამ არჩეული მიმართულებისგან განსხვავებულ სპეციალობებში. ჩარიცხვის აუცილებელი წინაპირობაა კონკურსანტმა დადგენილ ვადებში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია.

IX. პროგრამის ხელმძღვანელი: თინა გელაშვილი, ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი.

X. პროგრამის აკრედიტაცია: აკრედიტებული - 2018 წლის 26 ნოემბერი, გადაწყვეტილება № 165

XI. პროგრამის მიზანი:

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზნები სრულ შესაბამისობაშია სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასთან. პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებს პროგრამა და რა წვლილს შეიტანს იგი დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ძირითადი მიზანია:

მოამზადოს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, **რომელსაც აქვს:**

1. ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში სიღრმისეული და სისტემური თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ეფექტიანი მართვისა და კვლევითი საქმიანობის განხორციელებისთვის;

2. ბიზნესის გარემოს შეფასების, სტრატეგიული დაგეგმვის, ანალიზის, პროექტირებისა და რთული პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების მოძიების უნარი;

3. რთული და არასრული ფინანსური ინფორმაციის გაანალიზებისა და შეფასების საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი;

4. პროფესიული/აკადემიური ეთიკისა და ღირებულებების დაცვით პრაქტიკაში/კვლევაში წვლილის შეტანისა და ინდივიდუალურად/გუნდურად სოციალური პასუხისმგებლობის გაზიაარების უნარი.

XII. სწავლის შედეგი:

	სწავლის შედეგები
ცოდნა და გაცნობიერება	1. სიღრმისეულად და სისტემურად განიხილავს: ბიზნესის მართვის სფეროში ლიდერობისა და ადმინისტრირების თანამედროვე პრინციპებს, ფუნქციებს, მეთოდებს, მოტივაციის სხვადასხვა თეორიებსა და მოდელებს; მარკეტინგისა და ბრენდინგის კონცეფციებსა და ტენდენციებს; 2. კრიტიკულად და არგუმენტირებულად მსჯელობს ფინანსური ინფორმაციის მართვისა და ბიზნესის შეფასების საკვანძო საკითხებზე;
უნარი	3. აანალიზებს კომპანიის რესურსებს და საჭიროებებს, სტრატეგიულ და ბიზნეს გეგმებს, ადამიანური რესურსების დაგეგმვის, შერჩევისა და მოტივაციის სტრატეგიებს, საპროექტო გუნდის შესაძლებლობებს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების გამოყენებით; 4. აფასებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად აუცილებელ სამუშაოებს, საინვესტიციო პროექტებს, ფასიანი ქაღალდების პორტფელის რისკსა და ამონაგებს, ბიზნესსა და ქონებას სხვადასხვა მიდგომებისა და პრინციპების გამოყენებით; 5. კომპანიის ღირებულების გაზრდის მიზნით ბიზნესის კვლევის მეთოდების, მონაცემთა ანალიზის, ინტერპრეტაციისა და ექსტრაპოლაციის გამოყენებით იღებს გადაწყვეტილებას და წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში; 6. დამოუკიდებლად/გუნდთან ერთად შეიმუშავებს პროექტებს, ბრენდის სიძლიერის მატრიცას, ასევე ინდუსტრიის ანალიზის საფუძველზე-ბაზარზე პოზიციონირების სტრატეგიას და მარკეტინგულ გეგმას; 7. ეფექტურად წარადგენს (ზეპირი ან/და წერილობითი ფორმით) კვლევის შედეგებს, მიგნებებს, არგუმენტებს და დასკვნებს როგორც აკადემიური, ასევე პროფესიული საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	8. პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვით **იზიარებს** აკადემიურ, სოციალურ და ორგანიზაციულ პასუხისმგებლობას პრაქტიკულ საქმიანობასა და კვლევის განხორციელების პროცესში.

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

პროგრამის სწავლის შედეგები	**პროგრამის მიზნები**			
	მოამზადოს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, **რომელსაც აქვს:**			
	პროგრამის მიზანი 1 ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში სიღრმისეული და სისტემური თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ეფექტიანი მართვისა და კვლევითი საქმიანობის განხორციელებისთვის	**პროგრამის მიზანი 2** ბიზნესის გარემოს შეფასების, სტრატეგიული დაგეგმვის, ანალიზის, პროექტირებისა და რთული პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების მოძიების უნარი	**პროგრამის მიზანი 3** რთული და არასრული ფინანსური ინფორმაციის გაანალიზებისა და შეფასების საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი	**პროგრამის მიზანი 4** .პროფესიული/აკადემიური ეთიკისა და ღირებულებების დაცვით პრაქტიკაში/კვლევაში წვლილის შეტანისა და ინდივიდუალურად/გუნდურად სოციალური პასუხისმგებლობის გაზიაარების უნარი
სწავლის შედეგი 1 სიღრმისეულად და სისტემურად **განიხილავს:** ბიზნესის მართვის სფეროში ლიდერობისა და ადმინისტრირების თანამედროვე პრინციპებს, ფუნქციებს, მეთოდებს, მოტივაციის სხვადასხვა თეორიებსა და მოდელებს; მარკეტინგისა და ბრენდინგის კონცეფციებსა და ტენდენციებს;	✓		✓	
სწავლის შედეგი 2 კრიტიკულად და	✓		✓	

არგუმენტირებულად **მსჯელობს** ფინანსური ინფორმაციის მართვისა და ბიზნესის შეფასების საკვანძო საკითხებზე;				
სწავლის შედეგი 3 აანალიზებს კომპანიის რესურსებს და საჭიროებებს, სტრატეგიულ და ბიზნეს გეგმებს, ადამიანური რესურსების დაგეგმვის, შერჩევისა და მოტივაციის სტრატეგიებს, საპროექტო გუნდის შესაძლებლობებს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების გამოყენებით;	✓	✓	✓	
სწავლის შედეგი 4 **აფასებს** საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად აუცილებელ სამუშაოებს, საინვესტიციო პროექტებს, ფასიანი ქაღალდების პორტფელის რისკსა და ამონაგებს, ბიზნესს და ქონებას სხვადასხვა მიდგომებისა და პრინციპების გამოყენებით; კომპანიის ღირებულების გაზრდის მიზნით ბიზნესის კვლევის მეთოდების, მონაცემთა ანალიზის, ინტერპრეტაციისა და ექსტრაპოლაციის გამოყენებით		✓	✓	

იღებს გადაწყვეტილებას და წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში;				
სწავლის შედეგი 5 კომპანიის ღირებულების გაზრდის მიზნით ბიზნესის კვლევის მეთოდების, მონაცემთა ანალიზის, ინტერპრეტაციისა და ექსტრაპოლაციის გამოყენებით იღებს გადაწყვეტილებას და წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში;	✓			✓
სწავლის შედეგი 6 **დამოუკიდებლად/გუნდთან ერთად შეიმუშავებს** პროექტებს, ბრენდების სიძლიერის მატრიცას, ხოლო ინდუსტრიის ანალიზის საფუძველზე-ბაზარზე პოზიციონირების სტრატეგიას და მარკეტინგულ გეგმას;		✓		
სწავლის შედეგი 7 ეფექტურად წარადგენს (ზეპირი ან/და წერილობითი ფორმით) კვლევის შედეგებს, მიგნებებს, არგუმენტებს და დასკვნებს როგორც აკადემიური, ასევე პროფესიული საზოგადოებისთვის და დაინტერესებული მხარეებისთვის.	✓		✓	✓

სწავლის შედეგი 8 პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვით **იზიარებს** აკადემიურ, სოციალურ და ორგანიზაციულ პასუხისმგებლობას პრაქტიკულ საქმიანობასა და კვლევის განხოციელების პროცესში.	✓			✓

XIII. პროგრამის სტრუქტურა, კრედიტები და სასწავლო გეგმა:

#	სასწავლო კურსის დასახელება	კურსის ტიპი	ECTS კრედიტი	სულ საათების	საათების განაწილება		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით		ლექტორი / ლექტორები	დაშვების წინაპირობა
					საკონტაქტო საათები	დ	I	II		

					ლექცია	სემინარი/სამუშაო ჯგუფი / პრაქტიკული	სამაგ. ნაშრომი/პრაქტიკა	მუალედური / დასკვნითი შეფასებები					
ბიზნესის ადმინისტრირების ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსები - 71კრედიტი													
1	მენეჯერული ეკონომიკა	სავ.	4	100	28	17		4	51	I		კახაბერ ციმინტია, მოწვეული	წინაპირობის გარეშე
2	ოპერაციათა მენეჯმენტი	სავ.	5	125	30	15		4	76	I		კახაბერ ციმინტია, მოწვეული	წინაპირობის გარეშე
3	ლიდერობა	სავ.	4	100	15	15		5	65	I		თინა გელაშვილი. პროფესორი	ინგლისური ენა B2
4	ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება	სავ.	5	125	30	30		8	57	I		ცისკარა ზარანდია, პროფესორი, ლაშა ჩიბურდანიძე, ასოც. პროფესორი	წინაპირობის გარეშე
5	მდგრადი განვითარება	სავ.	3	75	15	15		4	41	I		თინა გელაშვილი. პროფესორი	ინგლისური ენა B2
6	ბიზნესის კვლევის მეთოდები და დიზაინი	სავ.	5	125	30	15		4	76		II	გოჩა თუთბერიძე, მოწვეული ნანა ჯღარკავა, ასოც. პროფესორი	მონაცემების დამუშავება და ანალიზი; ეკონომეტრიკული ანალიზი
7	სტრატეგიული	სავ.	5	125	30	30		4	61		II	თინა გელაშვილი.	ოპერაციათა

	მენეჯმენტი გლობალურ გარემოში											პროფესორი	მენეჯმენტი
8	სტრატეგიული მარკეტინგი	სავ.	5	125	15	30		5	75		II	თორნიკე ხოშტარია, მოწვეული	ინგლისური ენა B2
9	კორპორაციის ფინანსები	სავ.	4	100	15	15		4	66		II	გოჩა თუთბერიძე, მოწვეული	ინგლისური ენა B2; ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება;
10	ფინანსური ანგარიშგების აუდიტი	სავ.	5	125	30	30		5	60		II	ცისკარა ზარანდია, პროფესორი	ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება
11	პროექტის მართვა Project Management	სავ.	3	75	15	15		4	41		II	მალგორზატა ბარანი, მოწვეული	ინგლისური ენა B2
12	ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა HR Strategic Management	სავ.	4	100	30	15		4	51	III		მალგორზატა ბარანი, მოწვეული	ინგლისური ენა B2
13	სტრატეგიული ბრენდ-მენეჯმენტი	სავ.	4	100	28	17		4	51	III		თორნიკე ხოშტარია, მოწვეული	სტრატეგიული მარკეტინგი
14	ბიზნესის შეფასების პრინციპები	სავ.	4	100	15	30		4	51	III		ლავრენტი ჩიბურდანიძე, პროფესორი	კორპორაციული ფინანსები
15	პრაქტიკა	სავ.	10	250			90	2	158	III		თინა გელაშვილი. პროფესორი, ნანა ჯღარკავა, ასოც. პროფესორი	ბიზნესის კვლევის მეთოდები და დიზაინი; სტრატეგიული მენეჯმენტი

													გლობალურ გარემოში; სტრატეგიული მარკეტინგი; ფინანსური ანგარიშგების აუდიტი
ბიზნესის ადმინისტრირების ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის არჩევითი სასწავლო კურსები - 6 კრედიტი													
16	აგრარული ეკონომიკა და პოლიტიკა	არჩ.	3	75	15	15		4	41		II	კახაბერ ციმინტია, მოწვეული	წინაპირობის გარეშე
	უძრავი ქონების მართვის თანამედროვე სისტემა											გიორგი ბუცხრიკიძე, პროფესორი	წინაპირობის გარეშე
17	აგრობიზნესის მენეჯმენტი	არჩ.	3	75	15	15		4	41	III		თინა გელაშვილი. პროფესორი	წინაპირობის გარეშე
	უძრავი ქონების აღრიცხვა და შეფასება											ნელი ბერიძე, ასოცირებული პროფესორი	წინაპირობის გარეშე
თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 9 კრედიტი													
18	მონაცემების დამუშავება და ანალიზი	სავ.	3	75	15	15		4	41	I		ნინო ბერიძე, ასისტენტ-პროფესორი	წინაპირობის გარეშე
19	ეკონომეტრიკული ანალიზი	სავ.	3	75	15	15		4	41	I		თამარ გელაშვილი, მოწვეული	წინაპირობის გარეშე
20	საკორპორაციო სამართალი	სავ.	3	75	15	15		4	41	I		ელგუჯა ჭანტურია, ასოცირებული	წინაპირობის გარეშე

												პროფესორი	
თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები - 5 კრედიტი													
		არჩ.	5	75	15	15		4	41	III			
კვლევითი კომპონენტი - 30 კრედიტი													
21	სამაგისტრო ნაშრომი	სავ.	30	750			30	2	718		IV	დარგის დოქტორის აკადემიური ხარისხის აკადემიური/ მოწვეული პერსონალი	სასწავლო კომპონენტი
	სულ		**120**										

	კურსის ტიპი	**ECTS - კრედიტი**
	ბიზნესის ადმინისტრირების ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსები	**70**
	ბიზნესის ადმინისტრირების ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის არჩევითი სასწავლო კურსები	**6**
	თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები	**9**
	თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები	**5**
	კვლევითი კომპონენტი - სამაგისტრო ნაშრომი	**30**
	სულ ECTS	**120**

XIV. სწავლის შედეგების რუკა

გაცნობა - 1; გაღრმავება - 2; განმტკიცება - 3.

სასწავლო კურსები	**პროგრამის სწავლის შედეგები**		
სასწავლო კომპონენტი	**ცოდნა და გაცნობიერება**	**უნარი**	**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

	სწავლის შედეგი 1	სწავლის შედეგი 2	სწავლის შედეგი 3	სწავლის შედეგი 4	სწავლის შედეგი 5	სწავლის შედეგი 6	სწავლის შედეგი 7	სწავლის შედეგი 8
ბიზნესის ადმინისტრირების ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსები								
მენეჯერული ეკონომიკა		1	1	1				
ოპერაციათა მენეჯმენტი	2		2					
ლიდერობა	3						2	1
ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება		2		2				
მდგრადი განვითარება				1			1	2
ბიზნესის კვლევის მეთოდები და დიზაინი			2	2	2	2	2	2
სტრატეგიული მენეჯმენტი გლობალურ გარემოში	3		3					
სტრატეგიული მარკეტინგი	2					2		
კორპორაციის ფინანსები		2		3	3			
ფინანსური ანგარიშგების აუდიტი		3		3			2	2
ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა	3		2					2
სტრატეგიული ბრენდ-მენეჯმენტი	3					3		
პროექტის მართვა	2		2			2	2	2
ბიზნესის შეფასების პრინციპები		2		2			2	
პრაქტიკა			**3**	**3**	**3**	**3**	**3**	**3**
თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 9 კრედიტი								
მონაცემების დამუშავება და ანალიზი		1	1		1	1	1	

ეკონომეტრიკული ანალიზი	1		1	1	2		1	
საკორპორაციო სამართალი		1	1				1	
კვლევითი კომპონენტი								
სამაგისტრო ნაშრომი	3	3	3	3	3	3	3	3
ბიზნესის ადმინისტრირების ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის არჩევითი სასწავლო კურსები								
აგრარული ეკონომიკა და პოლიტიკა	1							
უძრავი ქონების მართვის თანამედროვე სისტემა	1							
აგრობიზნესის მენეჯმენტი	1		1					
უძრავი ქონების აღრიცხვა და შეფასება	1	1		1				

XV. სწავლის შედეგების შეფასება

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას ახდენს პროგრამის ხელმძღვანელი ფაკულტეტის ხარისხის სამსახურთან და პროგრამის აკადემიურ პერსონალთან ერთად.

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს. გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასება. პირდაპირი შეფასებისას გამოყენებულია: სასწავლო კურსების საგამოცდო შეფასება, არაპირდაპირი შეფასებისას: პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება, დამსაქმებელთა გამოკითხვა, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა გამოკითხვა.

პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის. პროგრამის ხელმძღვანელი ქმნის მონიტორინგის ჯგუფს ფაკულტეტის ხარისხის სამსახურთან და აკადემიურ პერსონალთან ერთად და მათი ჩართულობით ხდება სწავლის შედეგების შეფასება და სამიზნე ნიშნულებთან დადარება, რასაც მოჰყვება ანალიზის პროცესი და შესაბამისი რეაგირება. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის განსავითარებლად, რაც გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში პროგრამის მოდიფიცირებას.

პირდაპირი შეფასების მეთოდით პროგრამის სწავლის შედეგის შეფასებისას საბოლოო (შემაჯამებელი) შეფასება წარმოადგენს შეფასებისათვის გამოყენებულ სასწავლო კომპონენტში/ებში მიღებული პროცენტული მაჩვენებლების საშუალო არითმეტიკულ სიდიდეს. პროგრამის სამიზნე

ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის მიმდინარე ეტაპზე განისაზღვრება 80%-ით. პირდაპირი შეფასების მეთოდით სწავლის შედეგის შეფასებისას შედეგების ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება მოხდება იმ შემთხვევაში, თუ შეფასება სამიზნე ნიშნულზე დაბალი იქნება.

სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდი გულისხმობს: სტუდენტის მიერ თვითშეფასებას, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვას და შედეგების ანალიზს.
მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული შეფასება არ არის სტუდენტის მიერ კურსის შეფასება ან კმაყოფილების კვლევის შედეგები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით შექმნილ კითხვარში ჩამოთვლილი იქნება პროგრამის სწავლის შედეგები და სტუდენტები აღნიშნავენ თავიანთ მოსაზრებას, თუ რა დონეზე მიაღწიეს ამა თუ იმ სწავლის შედეგს. იმავე კითხვარის გაგზავნა შეიძლება კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.
პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის განსავითარებლად, რაც გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში პროგრამის მოდიფიცირებას.
ინდიკატორები/მტკიცებულებები: სწავლის შედეგების შეფასების შედეგად პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანგარიში, განხილვის დამადასტურებელი დოკუმენტები (ოქმები), გამოკითხვები.

სწავლის შედეგების შეფასების გეგმა:
პირდაპირი შეფასება:
1 სწავლის შედეგი - სასწავლო კომპონენტის დასრულება (მე-3 სემესტრი), კვლევითი კომპონენტის დასრულება (მე-4 სემესტრი);
2 სწავლის შედეგი - სასწავლო კომპონენტის დასრულება (მე-3 სემესტრი), კვლევითი კომპონენტის დასრულება (მე-4 სემესტრი);
3 სწავლის შედეგი - სასწავლო კომპონენტის დასრულება (მე-3 სემესტრი), კვლევითი კომპონენტის დასრულება (მე-4 სემესტრი);
4 სწავლის შედეგი - სასწავლო კომპონენტის დასრულება (მე-3 სემესტრი), კვლევითი კომპონენტის დასრულება (მე-4 სემესტრი);
5 სწავლის შედეგი - სასწავლო კომპონენტის დასრულება (მე-3 სემესტრი), კვლევითი კომპონენტის დასრულება (მე-4 სემესტრი);
6 სწავლის შედეგი - სასწავლო კომპონენტის დასრულება (მე-3 სემესტრი), კვლევითი კომპონენტის დასრულება (მე-4 სემესტრი);
7 სწავლის შედეგი - სასწავლო კომპონენტის დასრულება (მე-3 სემესტრი), კვლევითი კომპონენტის დასრულება (მე-4 სემესტრი);
8 სწავლის შედეგი - სასწავლო კომპონენტის დასრულება (მე-3 სემესტრი), კვლევითი კომპონენტის დასრულება (მე-4 სემესტრი);

არაპირდაპირი შეფასება:
სწავლების პერიოდში, პერიოდულად აკადემიური მოსწრების შეფასებების პარალელურად;
პროგრამის დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ;
დასაქმებიდან ერთი წლის შემდეგ.

სწავლის შედეგები	**სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები**				**სამიზნე ნიშნულები**
	პირდაპირი		**არაპირდაპირი**		
	მეთოდი	**დრო**	**მეთოდი**	**დრო**	
სწავლის შედეგი 1 სიღრმისეულად და სისტემურად განიხილავს: ბიზნესის მართვის სფეროში ლიდერობისა და ადმინისტრირების თანამედროვე პრინციპებს, ფუნქციებს, მეთოდებს, მოტივაციის სხვადასხვა თეორიებსა და მოდელებს; მარკეტინგისა და ბრენდინგის კონცეფციებსა და ტენდენციებს;	**ცოდნა და გაცნობიერება** შემოწმდება პირველი სწავლის შედეგების მიღწევაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მონიტორინგით, ხოლო საბოლოო შედეგი განისაზღვრება განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსების საბოლოო შედეგებით: 1. ლიდერობა; 2. სტრატეგიული მენეჯმენტი გლობალურ გარემოში; 3. ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა; 4. სტრატეგიული ბრენდ-მენეჯმენტი;	ყოველი შესაბამისი სემესტრის ბოლოს და IV სემესტრის დასრულებისა ს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებით.	1. სტუდენტთა გამოკითხვა; 2. კურსდამთავრებულთ ა გამოკითხვა; 3. დამსაქმებელთა გამოკითხვა; 4. პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება; 5. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება. თითოეულ მათგანს გაეგზავნება პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც შეფასდება: სრულყოფილად მიაღწია, მეტწილად მიაღწია, ნაწილობრივ მიაღწია:	1. სწავლების პერიოდში, პერიოდულად აკადემიური მოსწრების მონიტორინგის პარალელურად; 2. პროგრამის დასრულებიდა ნ ერთი წლის შემდეგ;	სტუდენტთ საერთო რაოდენობი დან 80% დადებითი შეფასება

	5. სამაგისტრო ნაშრომი				
სწავლის შედეგი 2 კრიტიკულად და არგუმენტირებულად მსჯელობს ფინანსური ინფორმაციის მართვისა და ბიზნესის შეფასების საკვანძო საკითხებზე;	**ცოდნა და გაცნობიერება** შემოწმდება მეორე სწავლის შედეგების მიღწევაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მონიტორინგით, ხოლო საბოლოო შედეგი განისაზღვრება განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსების საბოლოო შედეგებით: 1. ფინანსური ანგარიშგების აუდიტი; 2. სამაგისტრო ნაშრომი	ყოველი შესაბამისი სემესტრის ბოლოს და IV სემესტრის დასრულებისა ს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებით.	1.სტუდენტთა გამოკითხვა; 2.კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; 3.დამსაქმებელთა გამოკითხვა; 4. პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება; 5.სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება. თითოეულ მათგანს გაეგზავნება პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც შეფასდება: სრულყოფილად მიაღწია, მეტწილად მიაღწია, ნაწილობრივ მიაღწია:	1.სწავლების პერიოდში, პერიოდულად აკადემიური მოსწრების მონიტორინგის პარალელურად; 2.პროგრამის დასრულებიდა ნ ერთი წლის შემდეგ;	სტუდენტთ საერთო რაოდენობი დან 80% დადებითი შეფასება
სწავლის შედეგი 3 აანალიზებს კომპანიის რესურსებს და საჭიროებებს, სტრატეგიულ და ბიზნეს გეგმებს, ადამიანური რესურსების	**უნარები** შემოწმდება მესამე სწავლის შედეგების მიღწევაში მონაწილე ყველა სასწავლო	ყოველი შესაბამისი სემესტრის ბოლოს და IV	1.სტუდენტთა გამოკითხვა; 2.კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; 3. დამსაქმებელთა	1.სწავლების პერიოდში, პერიოდულად აკადემიური მოსწრების	სტუდენტთ საერთო რაოდენობი დან 80% დადებითი

დაგეგმვის, შერჩევისა და მოტივაციის სტრატეგიებს, საპროექტო გუნდის შესაძლებლობებს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების გამოყენებით;	კურსის სწავლის შედეგების მონიტორინგით, ხოლო საბოლოო შედეგი განისაზღვრება განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსის საბოლოო შედეგებით: 1.სტრატეგიული მენეჯმენტი გლობალურ გარემოში; 2. პრაქტიკა 3. სამაგისტრო ნაშრომი	სემესტრის დასრულებისა ს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებით.	გამოკითხვა; 4. პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება; 5. პრაქტიკის ხელმძღვანელის შეფასება; 6. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება. თითოეულ მათგანს გაეგზავნება პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც შეფასდება: სრულყოფილად მიაღწია, მეტწილად მიაღწია, ნაწილობრივ მიაღწია:	მონიტორინგის პარალელურად; 2. პროგრამის დასრულებიდა ნ ერთი წლის შემდეგ;	შეფასება
სწავლის შედეგი 4 აფასებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად აუცილებელ სამუშაოებს, საინვესტიციო პროექტებს, ფასიანი ქაღალდების პორტფელის რისკსა და ამონაგებს, ბიზნესსა და ქონებას სხვადასხვა მიდგომებისა და პრინციპების	**უნარები** შემოწმდება მეოთხე სწავლის შედეგების მიღწევაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მონიტორინგით, ხოლო საბოლოო შედეგი განისაზღვრება	ყოველი შესაბამისი სემესტრის ბოლოს და IV სემესტრის დასრულებისა ს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებით.	1.სტუდენტთა გამოკითხვა; 2.კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; 3.დამსაქმებელთა გამოკითხვა; 4. პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება; 5. სამაგისტრო ნაშრომის	1.სწავლების პერიოდში, პერიოდულად აკადემიური მოსწრების მონიტორინგის პარალელურად; 2.პროგრამის დასრულებიდა	სტუდენტთ საერთო რაოდენობი დან 80% დადებითი შეფასება

გამოყენებით;	განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსების საბოლოო შედეგებით: 1. კორპორაციული ფინანსები 2. ფინანსური ანგარიშგების აუდიტი; 3. პრაქტიკა; 4. სამაგისტრო ნაშრომი.		ხელმძღვანელის შეფასება. თითოეულ მათგანს გაეგზავნება პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც შეფასდება: სრულყოფილად მიაღწია, მეტწილად მიაღწია, ნაწილობრივ მიაღწია:	ნ ერთი წლის შემდეგ;	
სწავლის შედეგი 5 კომპანიის ღირებულების გაზრდის მიზნით ბიზნესის კვლევის მეთოდების, მონაცემთა ანალიზის, ინტერპრეტაციისა და ექსტრაპოლაციის გამოყენებით იღებს გადაწყვეტილებას და წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში;	**უნარები** შემოწმდება მეხუთე სწავლის შედეგების მიღწევაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მონიტორინგით, ხოლო საბოლოო შედეგი განისაზღვრება განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსების საბოლოო შედეგებით: 1. კორპორაციის ფინანსები; 2. პრაქტიკა;	ყოველი შესაბამისი სემესტრის ბოლოს და IV სემესტრის დასრულებისა ს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებით.	1.სტუდენტთა გამოკითხვა; 2.კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; 3.დამსაქმებელთა გამოკითხვა; 4. პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება; 5. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება. თითოეულ მათგანს გაეგზავნება პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც შეფასდება: სრულყოფილად	1. სწავლების პერიოდში, პერიოდულად აკადემიური მოსწრების მონიტორინგის პარალელურად; 2.პროგრამის დასრულებიდა ნ ერთი წლის შემდეგ;	სტუდენტთ საერთო რაოდენობი დან 80% დადებითი შეფასება

	3. სამაგისტრო ნაშრომი.		მიაღწია, მეტწილად მიაღწია, ნაწილობრივ მიაღწია:		
სწავლის შედეგი 6 დამოუკიდებლად/გუნდთან ერთად შეიმუშავებს პროექტებს, ბრენდის სიძლიერის მატრიცას, ასევე ინდუსტრიის ანალიზის საფუძველზე-ბაზარზე პოზიციონირების სტრატეგიას და მარკეტინგულ გეგმას;	**უნარები** შემოწმდება მეექვსე სწავლის შედეგების მიღწევაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მონიტორინგით, ხოლო საბოლოო შედეგი განისაზღვრება განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსების საბოლოო შედეგებით: 1. სტრატეგიული ბრენდ-მენეჯმენტი; 2. პრაქტიკა; 3. სამაგისტრო ნაშრომი.	ყოველი შესაბამისი სემესტრის ბოლოს და IV სემესტრის დასრულებისა ს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებით.	1.სტუდენტთა გამოკითხვა; 2. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; 3.დამსაქმებელთა გამოკითხვა; 4. პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება; 5. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება. თითოეულ მათგანს გაეგზავნება პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც შეფასდება: სრულყოფილად მიაღწია, მეტწილად მიაღწია, ნაწილობრივ მიაღწია:	1.სწავლების პერიოდში, პერიოდულად აკადემიური მოსწრების მონიტორინგის პარალელურად; 2.პროგრამის დასრულებიდა ნ ერთი წლის შემდეგ;	სტუდენტთ საერთო რაოდენობი დან 80% დადებითი შეფასება
სწავლის შედეგი 7 ეფექტურად წარადგენს (ზეპირი ან/და წერილობითი ფორმით) კვლევის შედეგებს, მიგნებებს,	**უნარები** შემოწმდება მეშვიდე სწავლის შედეგების მიღწევაში მონაწილე	ყოველი შესაბამისი სემესტრის ბოლოს და IV	1.სტუდენტთა გამოკითხვა; 2.კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;	1.სწავლების პერიოდში, პერიოდულად აკადემიური	სტუდენტთ საერთო რაოდენობი დან 80%

არგუმენტებს და დასკვნებს როგორც აკადემიური, ასევე პროფესიული საზოგადოებისთვის და დაინტერესებული მხარეებისთვის.	ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მონიტორინგით, ხოლო საბოლოო შედეგი განისაზღვრება განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსების საბოლოო შედეგებით: 1. პრაქტიკა; 2. სამაგისტრო ნაშრომი.	სემესტრის დასრულებისა ს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებით.	3.დამსაქმებელთა გამოკითხვა; 4. პროგრამის ხელმძღვანელის დაკვი რვება; 5. პრაქტიკის ხელმძღვანელის შეფასება. 6.სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება. თითოეულ მათგანს გაეგზავნება პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც შეფასდება: სრულყოფილად მიაღწია, მეტწილად მიაღწია, ნაწილობრივ მიაღწია:	მოსწრების მონიტორინგის პარალელურად; 2.პროგრამის დასრულებიდა ნ ერთი წლის შემდეგ;	დადებითი შეფასება
სწავლის შედეგი 8 პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვით იზიარებს აკადემიურ, სოციალურ და ორგანიზაციულ პასუხისმგებლობას პრაქტიკულ საქმიანობასა და კვლევის განხორციელების პროცესში.	**ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა** შემოწმდება მერვე სწავლის შედეგების მიღწევაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების	ყოველი შესაბამისი სემესტრის ბოლოს და IV სემესტრის დასრულებისა ს სამაგისტრო	1.სტუდენტთა გამოკითხვა; 2.კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; 3.დამსაქმებელთა გამოკითხვა; 4. პროგრამის ხელმძღვანელის დაკვი	1.სწავლების პერიოდში, პერიოდულად აკადემიური მოსწრების მონიტორინგის პარალელურად; 2.პროგრამის	სტუდენტთ საერთო რაოდენობი დან 80% დადებითი შეფასება

	მონიტორინგით, ხოლო საბოლოო შედეგი განისაზღვრება განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსების საბოლოო შედეგებით: 1. პრაქტიკა; 2. სამაგისტრო ნაშრომი.	ნაშრომის შესრულებით.	რვება; 5. პრაქტიკის ხელმძღვანელის შეფასება. 6. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება. თითოეულ მათგანს გაეგზავნება პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც შეფასდება: სრულყოფილად მიაღწია, მეტწილად მიაღწია, ნაწილობრივ მიაღწია:	დასრულებიდა ნ ერთი წლის შემდეგ;	

XVI. დასაქმების სფერო:

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროა:
ბიზნეს-სექტორი;
საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებები;
საჯარო და კერძო სექტორები;
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები;
არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციები;
არასამთავრობო სექტორი;
საერთაშორისო ორგანიზაციები.
საგანმანათლებლო დაწესებულებები.

XVII. სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვა)

სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრების/სამუშაო ჯგუფში მუშაობას
- პრაქტიკულ მეცადინეობას
- დამოუკიდებელ მეცადინეობას
- პრაქტიკას
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) მომზადება- ჩაბარებას
- სხვა დატვირთვას, რომლითაც მიიღწევა სწავლის შედეგები

XVIII. სტუდენტის შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების (გარდა კონცენტრაციისა და მოდულისა) სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა. სასწავლო კომპონენტი არის ერთსემესტრიანი.

ა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში (სასწავლო კურსი, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი ან სხვ.) შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით.

ბ. სასწავლო კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება ტოლია ან მეტია 51%.

2. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

2. საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების სპეციფიკის გათვალისწინებით შეფასების თითოეულ კომპონენტში განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელიც ჯამურად არ უნდა იყოს 51 ქულაზე ნაკლები და 60 ქულაზე მეტი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს.

3. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების ან დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციით განსაზღვრული დადებითი შეფასების ვერმიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სემესტრული შეფასების ფორმებია:
შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი);
დასკვნითი შეფასება.
5. სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემაში შეფასების ფორმებს შორის ხვედრითი წილის განაწილება ხდება სასწავლო კომპონენტის სილაბუსით. ასევე სილაბუსით განისაზღვრება სასწავლო კომპონენტის შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.
6. საბოლოო შეფასება გამოითვლება შუალედური და დასკვნითი შეფასებების დაჯამების საფუძველზე.
7. შუალედური და დასკვნითი გამოცდები საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის (საგნის) თავისებურების გათვალისწინებით, ტარდება წერილობით, ზეპირად, ელექტრონულად ან შერეული სახით.
8. თუ სტუდენტი ძირითად სასწავლო ვადაში ვერ ასწრებს აკადემიური დავალიანების დაფარვას, დეკანატის მიერ შეიძლება დაინიშნოს დამატებითი სემესტრი/ები (მაქსიმუმ ოთხი).

სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით) დარგობრივი კომისიის წევრების შეფასებების საშუალო არითმეტიკულით, ფაკულტეტების მიერ შემუშავებული შესაბამისი კრიტერიუმების გათვალისწინებით.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტისათვის პირველი მუხლის ,,ბ“ პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო ამავე მუხლის ,,ბ“ პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გათვალისწინებით დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს. სტუდენტთა აკადემიური დავალიანების დასაფარავად სასწავლო წლის განმავლობაში პროგრამით გათვალისწინებულ 60 კრედიტის ზევით დეკანატის მიერ შეიძლება დაინიშნოს 15 კრედიტი.

შეფასების კომპონენტები:

- შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი)

- დასკვნითი შეფასება.

შუალედური შეფასების და დასკვნითი შეფასების ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას.

შეფასების მეთოდი:

- ზეპირი/წერითი გამოცდა/გამოკითხვა;
- ტესტი;
- ესე;
- პრეზენტაცია;
- დისკუსიაში მონაწილეობა;
- პრაქტიკული / თეორიული დავალების შესრულება;
- სამუშაო ჯგუფში მონაწილეობა.
- განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები

XIX. სწავლების მეთოდები

ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში სწავლების ფორმები ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების შემდეგი გავრცელებული მეთოდებით:

- ვერბალური მეთოდი (Verbal Method);
- დემონსტრირების მეთოდი (Demonstrate Method)
- პრეზენტაცია (Presentation)
- პრაქტიკული მუშაობა; (Practical Work)
- ჯგუფში მუშაობა (Group Work)
- პროექტზე დაფუძნებული სწავლება; (Project Based Study)
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; (Problem Based Study)
- შემთხვევის შესწავლა (Case Study)
- დისკუსია/ დებატები (Discussions/Debates)
- ელექტრონული რესურსით სწავლება;
- ცოდნასა და ღირებულებაზე დაფუძნებული სწავლება(VaKe)

- და სხვა.

სწავლება-სწავლისათვის გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს სრულყოფს. სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია სხვადასხვა გზით, როგორიცაა:

- წიგნების/სახელმძღვანელოების დამოუკიდებლად დამუშავება/განმარტება/ინტერპრეტირება;
- პრაქტიკული მაგალითები;
- პროფესიული ანგარიშის შედგენა;
- შეკითხვებზე პასუხების მომზადება;
- წერილობითი დავალებების შესრულება;
- შემთხვევების ანალიზი;
- დისკუსიებსა და დებატებში მონაწილეობა;
- პროექტის მომზადება;
- ბიზნეს გეგმების, სტრატეგილი გეგმების... მომზადება
-
- კვლევითი ნაშრომის დამოუკიდებლად მომზადება ხელმძღვანელის მითითებების საფუძველზე;
- და სხვ.

სწავლების მეთოდების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა

H (high) – მაღალი
M (medium) – საშუალო
L (low) – დაბალი

მეთოდები	**სწავლის შედეგი 1**	**სწავლის შედეგი 2**	**სწავლის შედეგი 3**	**სწავლის შედეგი 4**	**სწავლის შედეგი 5**	**სწავლის შედეგი 6**	**სწავლის შედეგი 7**	**სწავლის შედეგი 8**
ვერბალური მეთოდი (Verbal Method);	H	H	M	M	M	M	M	M
დემონსტრირების მეთოდი	M	H	H	M	M	M	H	H

(Demonstrate Method)								
პრეზენტაცია (Presentation)	M	H	H	M	M	M	H	H
პრაქტიკული მუშაობა; (Practical Work)	L	H	H	H	H	H	H	H
ჯგუფში მუშაობა (Group Work)	H	H	M	M	H	H	H	H
პროექტზე დაფუძნებული სწავლება; (Project Based Study)	M	M	H	H	H	H	H	H
პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; (Problem Based Study)	H	M	H	H	H	H		H
შემთხვევის შესწავლა (Case Study)	H	L	H	H	H	H	H	H
დისკუსია/ დებატები (Discussions/Debates)	H	M	H	H	H	H	H	H
ელექტრონული რესურსით სწავლება;	M	H	M	M	M	H	M	H
ანალიზი და სინთეზი	H							
გონებრივი იერიში	H							
კვლევაზე დაფუძნებული	H		H					
დილემაზე დაფუძნებული სწავლება	H		H					
ცოდნასა და ღირებულებებზე დაფუძნებული სწავლება	H		H					

XX. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ.

(ინფორმაცია იმ პერსონალის შესახებ რომლებიც საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული სასწავლო კურსების/მოდულების წარმართვაში მონაწილეობენ).

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს 8 აფილირებული აკადემიური პეროსნალი, მათ შორის: 4 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი, 1 მოწვეული პროფესორი და 4 მოწვეული სპეციალისტი.

№	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია/აკადემიური თანამდებობა	სასწავლო კომპონენტი	კვლევითი კომპონენტი
1.	ცისკარა ზარანდია	ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი	ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება	სამაგისტრო ნაშრომი
			ფინანსური ანგარიშგების აუდიტი	
			პრაქტიკა	
2.	თინა გელაშვილი	ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი	ლიდერობა	სამაგისტრო ნაშრომი
			მდგრადი განვითარება	
			სტრატეგიული მენეჯმენტი გლობალურ გარემოში	
			აგრობიზნესის მენეჯმენტი	
			პრაქტიკა	
3.	გიორგი ბუცხრიკიძე	ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი	უძრავი ქონების მართვის თანამედროვე სისტემა	სამაგისტრო ნაშრომი
			პრაქტიკა	
4.	ლავრენტი ჩიბურდანიძე	ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი	ბიზნესის შეფასების პრინციპები	სამაგისტრო ნაშრომი
			პრაქტიკა	
5.	ნანა ჯღარკავა	ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი	ბიზნესის კვლევის მეთოდები და დიზაინი	სამაგისტრო ნაშრომი
			პრაქტიკა	
6.	ელგუჯა ჭანტურია	სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი	საკორპორაციო სამართალი	

7.	ნელი ბერიძე	სოციალურ მეცნ. დოქტორი, ასოც. პროფესორი	უძრავი ქონების აღრიცხვა და შეფასება	
8.	ლაშა ჩიბურდანიძე	ბიზნესის მართვის დოქტორი, ასოც. პროფესორი	ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება პრაქტიკა	
9.	ნინო ბერიძე	ინფორმატიკის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი	მონაცემების დამუშავება და ანალიზი	
10	გოჩა თუთბერიძე	ეკონომიკის დოქტორი, მოწვეული პროფესორი	ბიზნესის კვლევის მეთოდები და დიზაინი კორპორაციის ფინანსები	სამაგისტრო ნაშრომი
11	მალგორზატა ბარანი, მოწვეული	ეკონომიკის დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი (ვარშავის სივიტას კოლეჯის ასოცირებული პროფესორი)	პროექტის მართვა ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა	სამაგისტრო ნაშრომი
12	კახაბერ ციმინტია	ეკონომიკის დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი	აგრარული ეკონომიკა და პოლიტიკა მენეჯერული ეკონომიკა ოპერაციათა მენეჯმენტი	სამაგისტრო ნაშრომი
13	თორნიკე ხოშტარია	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი	სტრატეგიული მარკეტინგი სტრატეგიული ბრენდ-მენეჯმენტი პრაქტიკა	სამაგისტრო ნაშრომი
14	თამარ გელაშვილი	მოწვეული სპეციალისტი	ეკონომეტრიკული ანალიზი	

XXI ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;

- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლება/სწავლის პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

XXIII. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე, დოქტორანტურაში.

XXIV. პროგრამის განხორციელებისა და განვითარებისათვის საჭირო ბიუჯეტი

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონსოლიდირებულ ბიუჯეტში ასახულია ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, როგორც განხორციელების, ისე მის განვითარებისათვის საჭირო ხარჯები.

პროგრამის ფინანსური ბიუჯეტის შედგენისას გათვალისწინებულია:

1. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის შრომის აშრომის ანაზღაურება
2. ფაკულტეტის ადმინისტრაციის შრომის ანაზღაურება;
3. სამაგისტრო ნაშრომის თემის ხელმძღვანელის ანაზღაურება
4. აკადემიური/მოწვეული პერსონალის თაბადაფინანსება იმპაქტ-ფაქტორიან, ან სხვა საერთაშორისო რეფერირებად/რეცენზირებად ბაზებში რეგისტრირებულ ჟურნალებში სამეცნიერო ნაშრომის გამოსაქვეყნებლად;
5. კონფერენციებზე, ფორუმებზე, ტრენინგებსა და სხვა ღონისძიებებში წარგზავნილი აკადემიური/მოწვეული პერსონალის მონაწილეობისსამივლინებო ხარჯები;
6. სტუდენტთა და თანამშრომელთა კონფერენციების ჩასატარებელი ხარჯები და სამეცნიერო შრომათა, სასწავლო სახელმძღვანელოების, მონოგრაფიების გამოცემის თანადაფინანსება;
7. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის საჭირო თანხები(კონსოლიდირებული ბიუჯეტიდან);
8. პროგრამის განვითარებისთვის საჭირო ხარჯები

9. სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები.

პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს (**იხ. თანდართული excel ფაილი**).

პროგრამაში განხორციელებული ცლილებების ამსახველი დადგენილებები:

1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება #6, 04.03.2020 წელი
2. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №25, 26.07.2022 წ.
3. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №29, 04.09.2023 წ.
4. სსიპ - სამცხე- ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №392850, 04.04.2024 წ.